



საქართველოს კონტროლის პალატა

2009–2011 წლების სტრატეგია

პოლიტიკის მართვისა და კონსალტინგ ჯგუფი (PMCG)

აპრილი, 2009

ს ა რ ჩ ე ვ ი

1 . შესავალი	4
2. საკანონმდებლო ბაზა	4
3. საქართველოს კონტროლის პალატის დანიშნულება	5
4. საქართველოს კონტროლის პალატის ხედვა	5
5. კონტროლის პალატის მიზნები	6
6. კონტროლის პალატის ღირებულებები	6
6.1. ობიექტურობა	7
6.2. დამოუკიდებლობა	7
6.3. საჯაროობა	7
6.4. პროფესიონალიზმი	8
7. ძირითადი სიძნელები	8
8. სტრატეგიული განვითარების მიმართულებები	9
8.1. საქართველოს კონტროლის პალატის ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარება.....	9
8.1.1. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება	9
8.1.2. საქართველოს კონტროლის პალატის გადაწყვეტილებათა მიღების ფორმალიზებული სისტემის შემუშავება და დანერგვა	11
8.1.3. ეფექტიანი პროფესიული მომზადების სისტემის შემუშავება	12
8.1.4. საქართველოს კონტროლის პალატაში ცოდნის დაგროვების სისტემის ჩამოყალიბება/შემუშავება	14
8.2. თანამედროვე აუდიტის მეთოდოლოგიის დანერგვა	14
8.2.1. აუდიტის მეთოდოლოგიის შემუშავება	14
8.2.2. ეფექტიანობის და წინასწარი აუდიტის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა	16
8.3. საქართველოს კონტროლის პალატის გამჭვირვალობის გაუმჯობესება	18

8.3.1. პერიოდული საგამომცემლო ერთეულის ჩამოყალიბება	18
8.3.2. შიდა და გარე კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება	18
8.3.3. გარე აუდიტის პრაქტიკის დანერგვა	19
8.4. ინფრასტრუქტურის განვითარება	20
8.4.1. საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და ეფექტიანი გამოყენება	20

1. შესავალი

2009 წლის 29 იანვარს ამოქმედდა საქართველოს კანონი „კონტროლის პალატის შესახებ“, რომელმაც ძირეულად შეცვალა მიდგომა კონტროლის პალატის, როგორც სახელმწიფო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებისა და ხარჯვის ზედამხედველი ორგანოსადმი.

საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, ქვეყანაში აქამდე არსებული აუდიტის სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკისგან. 1997 წლის ოქტომბერში, უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტთა საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI-ს) IX შეკრებაზე (ლიმა, პერუ) მიღებული „ლიმის დეკლარაცია აუდიტის პროცედურების შესახებ“, ზედმიწევნით ასახავს უმაღლესი აუდიტორული ორგანოს როლს, მიზანს და ხაზს უსვამს მისი, როგორც საზოგადოების წარმომადგენლის დანიშნულებას, ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების ეფექტიან მართვას.

2008 წლის დეკემბრამდე არსებული კანონმდებლობა საქართველოს კონტროლის პალატას მოიაზრებდა როგორც „კონტროლის განმახორციელებელ“ ორგანოს, ხოლო კანონის ახალი რედაქციით, მისი ფუნქცია ფორმირებულია როგორც აუდიტორული და ექსპერტული.

ამ გარემოებამ საჭირო გახადა კონტროლის პალატის მთლიანი სისტემის, მეთოდოლოგიებისა და თვით ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლა: საქართველოს კონტროლის პალატა უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტად, რომელიც თავისი საქმიანობის კონცენტრირებას მხოლოდ საჯარო სექტორზე მოახდენს.

ამჟამად კონტროლის პალატა კვლავაც გარდამავალ ეტაპზეა. წინამდებარე 2009–2011 წლების სტრატეგიული გეგმა მოიცავს იმ ღონისძიებებს, რომელთა ეტაპობრივი და თანმიმდევრული შესრულება უზრუნველყოფს დამოუკიდებელი ინსტიტუტის შექმნას სახელმწიფო (საჯარო) სექტორის სრულფასოვანი აუდიტის განსახორციელებლად.

2. საკანონმდებლო ბაზა

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს შემდეგი ნორმატიული აქტებით:

- საქართველოს კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“¹;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“;

¹ 2009 წლის 29 იანვარს ძალაში შევიდა ცვლილებები საქართველოს კანონში „კონტროლის პალატის შესახებ“, რომელმაც მოითხოვა კარდინალურად შეცვლილიყო საქართველოს კონტროლის პალატის რეგლამენტი და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საბიუჯეტო სისტემის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ (ყოველწლიური);
- საქართველოს საარჩევნო კოდექსი;
- ამ კანონების საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტები (კონტროლის პალატის რეგლამენტი, კონტროლის პალატის სტრუქტურული ერთეულების დებულებები, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება და სხვ.).

3. საქართველოს კონტროლის პალატის დანიშნულება

საქართველოს კონტროლის პალატა არის დამოუკიდებელი, აპოლიტიკური და პროფესიონალური ინსტიტუტი, სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, ასევე, საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

4. საქართველოს კონტროლის პალატის ხედვა

საქართველოს კონტროლის პალატა, როგორც სახელმწიფო (საჯარო) სექტორის დამოუკიდებელი, უმაღლესი აუდიტორი, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს რგოლს პასუხისმგებლობის ჯაჭვში: სახელმწიფო (საჯარო) სექტორის – საქართველოს პარლამენტისა და პარლამენტის მეშვეობით - მთელი ქართველი ხალხის წინაშე.

როდესაც ჩვენი პროფესიული შესაძლებლობის დონე, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებითა და შესაბამისი მომზადებით, მიაღწევს საერთაშორისო სტანდარტებს, ჩვენ განვახორციელებთ ეფექტიანობის აუდიტს სრული მოცულობით, რითაც უზრუნველვყოფთ სახელმწიფო (საჯარო) სექტორის ადმინისტრირების შედეგიანობასა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

5. კონტროლის პალატის მიზნები

საქართველოს კონტროლის პალატის მიზანია ჩამოყალიბდეს სახელმწიფო (საჯარო) სექტორის თანამედროვე დამოუკიდებელ აუდიტორულ ინსტიტუტად, რომელიც ისარგებლებს სრული ნდობითა და უპასუხებს საერთაშორისო მოთხოვნებს.

საქართველოს კონტროლის პალატის მიზანია, დამოუკიდებლად განახორციელოს სახელმწიფო (საჯარო) სექტორის ეფექტიანად ფუნქციონირების აუდიტი, რათა უფრო ღირებული გახდეს საჯარო სექტორის საქმიანობა, ხელი შეუწყოს საჯარო ფინანსების მართვისა და ზოგადად, საჯარო ადმინისტრაციის გაუმჯობესებას.

დასახული ამოცანის მისაღწევად საჭიროა:

- საქართველოს კონტროლის პალატის ორგანიზაციული განვითარება და მისი საქმიანობის ჰარმონიზაცია თანამედროვე დასავლურ სისტემებსა და სტანდარტებთან;
- საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით - გარე სახელმწიფო აუდიტის თანამედროვე ფორმების პრაქტიკაში ეტაპობრივი დანერგვა და კოორდინაცია;
- საქართველოს კონტროლის პალატისადმი ნდობის ამაღლება, მისი პროფესიონალიზმისა და საქმიანობის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გზით.

დეკლარირებული მიზნების მისაღწევად აუცილებელი ღონისძიებების გასატარებლად, კადრების მომზადებასა და ტექნიკური განვითარების მიზნით საქართველოს კონტროლის პალატა იყენებს დაფინანსებას როგორც საქართველოს ბიუჯეტიდან, ასევე, საერთაშორისო დონორთა დახმარებას.

6. კონტროლის პალატის ღირებულებები

„კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დეკლარირებულია ოთხი ძირითადი ღირებულება, რომელთაც საქართველოს კონტროლის პალატა საქმიანობისას ეფუძნება, ესენია:

1. ობიექტურობა;
2. დამოუკიდებლობა;
3. საჯაროობა;
4. პროფესიონალიზმი.

6.1. ობიექტურობა

საქართველოს კონტროლის პალატის მუშაობის ობიექტურობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს აუდიტის მეთოდოლოგიის სიზუსტე, ამრიგად, აუდიტის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება საქართველოს კონტროლის პალატის ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს.

„კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილია აუდიტის სახეობები, ფორმები და მეთოდები. ამასთან, კანონის მე-5 თავითა და საქართველოს კონტროლის პალატის რეგლამენტის მე-3 თავით განსაზღვრულია აუდიტთან დაკავშირებული დაგეგმარების პროცედურები, ჩატარებისა და შედეგების რეალიზაციის წესები, რომლებიც აუდიტის მეთოდოლოგიისათვის საბაზისო ფარგლებს ადგენს.

6.2. დამოუკიდებლობა

კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს კონტროლის პალატა უწყებრივად, ფინანსურად, ფუნქციონალურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელი ორგანოა.

კონტროლის პალატა და კონტროლის პალატის აუდიტორი საქმიანობისას დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. კონტროლის პალატამ თავიდან უნდა აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი აუდიტორსა და აუდიტის ობიექტს შორის.

კონტროლის პალატის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, უფლებამოსილების განხორციელების წესი და ფარგლები განისაზღვრება მხოლოდ სპეციალური კანონით.²

საქართველოს კონტროლის პალატის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აუდიტს ახორციელებს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით შექმნილი კომისია.

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები თანამდებობაზე ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში არ შეიძლება იყვნენ პოლიტიკური პარტიის წევრები ან ეწეოდნენ სხვა პოლიტიკურ საქმიანობას.

6.3. საჯაროობა

საქართველოს კონტროლის პალატა ყოველდღიურ საქმიანობაში ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებს.

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში ქვეყნდება საჯაროდ.

საქართველოს კონტროლის პალატა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით, აქვეყნებს აუდიტის აქტს, რეკომენდაციას, მოხსენებას, სხვა ანგარიშებსა და დასკვნებს. ამასთან, იგი ვალდებულია, არ გაამჟღავნოს

² „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონი

კანონით დაცული საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც ეხება აუდიტის ობიექტს, გარდა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კანონის შესაბამისად შექმნილი კონტროლის პალატის პრეზიდიუმისა და დავების განმხილველი საბჭოს სხდომები ღიაა, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც საქმის მასალები შეიცავს სახელმწიფო ან სხვა სახის საიდუმლოებას.

6.4. პროფესიონალიზმი

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტორს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით უნდა გააჩნდეს საჭირო კვალიფიკაცია.

აუდიტის პროცესისადმი პროფესიული მიდგომა და მისგან გამომდინარე აუცილებელი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარების საკითხი, საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

საერთაშორისო სტანდარტებთან სრულად თავსებადმა საქართველოს კონტროლის პალატის ეთიკის კოდექსმა უნდა დაადგინოს სამსახურებრივი უფლებამოსილებისა და ფუნქციების განხორციელებისას მოსამსახურეთა ქცევის წესები და ნორმები. კონტროლის პალატის მოსამსახურეები ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს კონტროლის პალატის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი, რომლის დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

7. ძირითადი სიძნელებები

საქართველოს კონტროლის პალატაში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ის ძირითადი პრობლემები, რომელთა წინაშეც დგას კონტროლის პალატა და რომლებიც ხელს უშლის ორგანიზაციის ეფექტიან ფუნქციონირებას:

1. პოლიტიკურ წრეებში, თავად სახელმწიფო ორგანოებსა და მოსახლეობაში საქართველოს კონტროლის პალატისადმი უნდობლობა: კონტროლის პალატა ძირითადად აღიქმება, როგორც დამსჯელი ორგანო;
2. კონტროლის პალატაში არ მიმდინარეობს ცოდნის დაგროვება: კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს კონტროლის პალატაში არსებული ცოდნა ეყრდნობა კონკრეტულ თანამდებობებზე კონკრეტული თანამშრომლის კომპეტენტურობას;
3. არ არის ჩამოყალიბებული აუდიტის მეთოდოლოგია: კონტროლის პალატაში არ არის მკვეთრად ჩამოყალიბებული იმ სხვადასხვა სახეობის აუდიტის მეთოდოლოგია, რომლის ჩატარებაზეც საქართველოს კონტროლის პალატა არის პასუხისმგებელი;
4. პროფესიული კადრების დაბალი მოტივაცია და კადრების ინტენსიური გადინება: ორგანიზაციაში არ არის ფორმალიზებული კადრების მართვის პროცედურები, სტრატეგია, მოტივაციის სისტემა და სხვ.;

5. სუსტი შიდა ინფრასტრუქტურა და განუვითარებელი ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემები; დღეისათვის საქართველოს კონტროლის პალატაში არსებული საინფორმაციო სისტემები არაეფექტიანად ფუნქციონირებს. არსებული ტექნიკა (hardware) არ შეესაბამება ორგანიზაციის მოთხოვნებს და ელემენტარულად, მორალურად მოძველებულია;
6. საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის არასაკმარისი გამჭვირვალობა; საქართველოს კონტროლის პალატაში არ არსებობს კომუნიკაციის სტრატეგიული გეგმა. მოსახლეობა კონტროლის პალატის შესახებ ინფორმაციას იღებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი შედეგების მიხედვით ხდება სამართალდამცველთა ჩარევა, რაც ასევე განაპირობებს ნეგატიური იმიჯის შექმნას.

8. სტრატეგიული განვითარების მიმართულებები

გამოვლენილი პრობლემების სისტემატიზაციის შედეგად გამოიყო 2009–2011 წლებში განსახორციელებელი 4 ძირითადი მიმართულება:

1. საქართველოს კონტროლის პალატის ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარება;
2. თანამედროვე აუდიტის მეთოდოლოგიის დანერგვა;
3. საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესება;
4. ინფრასტრუქტურის განვითარება.

8.1. საქართველოს კონტროლის პალატის ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარება

მიზანი: შემუშავდეს და დაინერგოს მდგრადი და ეფექტიანი შიდა ორგანიზაციული მართვის სისტემები, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს კონტროლის პალატის, როგორც აუდიტორული ორგანოს, ინსტიტუციურ და ორგანიზაციულ განვითარებას.

აღნიშნულ მიმართულებაში გამოიყო შემდეგი კომპონენტები:

8.1.1. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება

კომპონენტი რამდენიმე მოდულს მოიცავს:

1. საქართველოს კონტროლის პალატაში ადამიანური რესურსების მართვის არსებული პროცედურებისა და პროცესების შესწავლა. უნდა განხორციელდეს კონტროლის პალატაში მოქმედი კადრების მართვის სისტემის შესწავლა, ორგანიზაციაში მიღებული თანამშრომლების აყვანის, პროფესიული განვითარების, შეფასებისა და სხვა პროცედურების განსაზღვრა;

2. საერთაშორისო გამოცდილებისა და INTOSAI-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით, ადამიანური რესურსების მართვის პროდუქტებისა და პროცესების მოდერნიზაცია, შემუშავება და სამუშაო წიგნად ჩამოყალიბება (HR Policy Manual).

საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, კონტროლის პალატაში მოქმედი ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში შეტანილი იქნება შესაბამისი ცვლილებები, რაც ხელს შეუწყობს სისტემის უფრო ეფექტიან ფუნქციონირებას. ჩატარდება ადმინისტრაციული დეპარტამენტის თანამშრომლების ტრენინგი სამუშაო წიგნთან დაკავშირებით. გარდა ამისა, თანამშრომლები გაივლიან სხვა შესაბამის პროფესიონალურ ტრენინგებს (საჭიროებების ანალიზი, დაგეგმარება, ახალი თანამშრომლებისათვის ორიენტაციის მიცემა და სხვ.);

3. საქართველოს კონტროლის პალატის თანამდებობრივი ინსტრუქციების ჩამოყალიბება გულისხმობს თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის (Job Description) შექმნას თითოეული სამუშაო ადგილისთვის.

სამუშაო ადგილის აღწერილობაში ჩამოთვლილი იქნება ძირითადი ფუნქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უფლება-მოვალეობები და ანგარიშგების იერარქია;

4. ახალი თანამშრომლებისათვის ორიენტაციის უნიფიცირებული სისტემის დანერგვა.

ამ სისტემის თანახმად, ყოველი ახალი თანამშრომელი სრულყოფილად მიიღებს ინფორმაციას თავის სამუშაოს აღწერილობაზე, ორგანიზაციის შინაგანაწესზე, დისციპლინარულ პასუხისმგებლობაზე და სხვ.

5. საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის დანერგვა.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ მოქმედი კანონმდებლობით, 2009 წლის 1 ოქტომბრამდე უნდა მოხდეს საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის შემუშავება და დანერგვა. GTZ-ის დახმარებით უკვე შემუშავებულია ეთიკის კოდექსის პროექტი, რომლის ორგანიზაციაში დანერგვაც მოითხოვს ინფორმაციის ინტენსიურ გაცვლას ყველა დონეზე (ნაბეჭდი მასალებითა და სამუშაო შეხვედრების საშუალებით), საჭიროა თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება შემდეგ თემებზე: ეთიკის კოდექსი, დარღვევების გამოვლენის შემდგომი ქმედებები, აგრეთვე, ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში – დისციპლინური ზომების ჩამოყალიბების საკითხები.

მოსალოდნელი შედეგები:

1. ფორმალიზებულად აღიწერება ადამიანური რესურსების მართვის სისტემა და მომზადდება სამუშაო წიგნი;
2. შეიქმნება თანამშრომელთა მოტივაციისა და კარიერის მართვის თანამედროვე სისტემა;
3. გაუმჯობესდება საქართველოს კონტროლის პალატაში არსებულ ვაკანსიებზე თანამშრომელთა შერჩევის მექანიზმი;
4. ყოველი თანამდებობისთვის აღიწერება სამუშაო და ჩამოყალიბდება პროფესიულ-კვალიფიციური მოთხოვნები, განისაზღვრება თანამშრომელთა უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა;
5. ჩამოყალიბდება თანამშრომელთა მუშაობის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემა;
6. ჩამოყალიბდება წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმები;
7. ეთიკის კოდექსისა და ადამიანური რესურსების სამუშაო წიგნის ნორმების შესაბამისად, ეტაპობრივად შეიცვლება ორგანიზაციული კულტურა.

8.1.2. საქართველოს კონტროლის პალატის გადაწყვეტილებათა მიღების ფორმალიზებული სისტემის შემუშავება და დანერგვა

1. არსებული ორგანიზაციული პროცედურებისა და პროცესების დახვეწა და განვითარება;

საქართველოს კონტროლის პალატაში მოქმედი გადაწყვეტილების მიღების პროცედურების დახვეწა და დოკუმენტირება;

2. პალატის სტრუქტურული ერთეულების დებულებების შემუშავება.

საქართველოს კონტროლის პალატის სტრუქტურა ეფუძნება ფუნქციონალურ-დარგობრივ დიფერენციაციას. თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის განისაზღვრა ფუნქციური დატვირთვა და მოქმედების არეალი. კონტროლის პალატაში შექმნილია შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რომელიც განახორციელებს შიდა, კონტროლის პალატის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შეფასებასაც. აღნიშნულის გარდა, კონტროლის პალატაში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული - საექსპერტო ბიურო, რომელიც კონტროლის პალატის აუდიტის დეპარტამენტებს აუდიტის ჩატარების დროს გაუწევს დახმარებას ისეთ საკითხებში, რომლებიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. აღსანიშნავია, რომ დებულებების ჩამოყალიბების შემდეგი ეტაპი იქნება სამუშაო აღწერილობის შექმნა თითოეული თანამდებობისთვის (დეპარტამენტის/ სტრუქტურული ერთეულის დებულებიდან გამომდინარე);

3. საქართველოს კონტროლის პალატაში ყველა დონის გადაწყვეტილების მიღების პროცესის ამსახველი დოკუმენტაციის, შესაბამისი სანიმუშო დოკუმენტების შემუშავება და დანერგვა.

შემუშავდება საქართველოს კონტროლის პალატაში არსებული, ყველა პროცედურიდან გამომდინარე, შესაბამისი სანიმუშო დოკუმენტაცია და განისაზღვრება მათი ფორმა, სტრუქტურა და სხვა რეკვიზიტები: აუდიტის აქტები, მოხსნებითი ბარათები, ანგარიშები, ადმინისტრაციული აქტები და სხვ. ტრენინგებზე თანამშრომლები გაეცნობიან დოკუმენტაციის ნიმუშების ფორმებს.

მოსალოდნელი შედეგები:

1. მკვეთრად განისაზღვრება სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სფერო;
2. აღმოიფხვრება დუბლიერებები საქმიანობაში;
3. მოხდება გადაწყვეტილების მიღების სტანდარტიზაცია და დოკუმენტირება;
4. გაღრმავდება თანამშრომლების ცოდნა და ამაღლება პროფესიონალიზმი.

8.1.3. ეფექტიანი პროფესიული მომზადების სისტემის შემუშავება

1. სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბება.

საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი აუდიტორული საქმიანობის განსახორციელებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონტროლის პალატის აუდიტორთა კვალიფიკაციას. საქართველოს კონტროლის პალატამ უნდა უზრუნველყოს სწავლების მოქნილი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროგრამებისა და მისი განხორციელების ეფექტიანი სისტემის შექმნა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სასწავლო ცენტრი არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტორთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ დახელოვნებაზე, არამედ უნდა მოიცავს მთლიანად საჯარო სექტორის – როგორც გარე, ასევე შიდა აუდიტი. სასწავლო ცენტრმა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო (საჯარო) სექტორის აუდიტორის მინიმალური სტანდარტის დადგენა, რომელიც შესაძლებელია გამოიხატოს სახელმწიფო (საჯარო) სექტორის აუდიტორის სტატუსის განსაზღვრითა და მინიჭებით.

2. სასწავლო ცენტრის თანამშრომელთა გადამზადების პროგრამების შემუშავება.

გადამზადების პროგრამა ორი ძირითადი მიმართულებით განხორციელდება: ერთი მხრივ, თანამშრომლები შეიძენენ სასწავლო კურსების ტრენინგების უნარ-ჩვევებს, მეორე მხრივ, ისინი მოემზადებიან როგორც ტრენინგ-კოორდინატორები, რაც ასევე გულისხმობს ტრენინგების საჭიროების ანალიზის ჩატარების ჩვევებს, სასწავლო კურსის დაგეგმვას, გარე პროფესიონალი-ტრენინგების მოწვევის პროცედურებს ვიწრო სპეციალიზაციას ტრენინგების ჩასატარებლად;

3. საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა გადამზადების/მომზადების ყოველწლიური პროგრამების დაგეგმვა.

კონტროლის პალატაში აუცილებელად უნდა მიმდინარეობდეს პროფესიული მომზადების საჭიროების ანალიზი, გროვდებოდეს ინფორმაცია არსებული შიდა და გარე რესურსების შესახებ და ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს სასწავლო გეგმების განახლება;

4. საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომლებისათვის ძირითადი უნარ-ჩვევების (მაგ. კომუნიკაცია, ჯგუფური მუშაობა და სხვ.) ტრენინგების ჩატარება.

კონტროლის პალატის შიდა რესურსების გამოყენებით ყოველწლიური საბაზისო ტრენინგების დაგეგმვა;

5. საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომლებისათვის სპეციფიკური უნარ-ჩვევების (მაგალითად, საჯარო ფინანსების მართვა) შესაძენად მოწვეული კონსულტანტების დახმარებით ტრენინგების ჩატარება.

ვიწრო სპეციალიზაციის ტრენინგების ყოველწლიური დაგეგმვა და ჩატარება მოწვეული ტრენინგების საშუალებით.

მოსალოდნელი შედეგები:

1. შეიქმნება სასწავლო ცენტრი, რომელიც კონცენტრირებული იქნება სახელმწიფო (საჯარო) სექტორის აუდიტორთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე.
2. ყოველწლიურად გაანალიზდება საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამების საჭიროება და კოორდინირებულად დაიგეგმება ტრენინგები;
3. მოთხოვნებიდან გამომდინარე, შემუშავდება სასწავლო პროგრამები;
4. ამაღლება თანამშრომელთა კვალიფიკაცია;
5. საბაზისო ტრენინგისთვის პროფესიულად მომზადდება შიდა კადრები;

6. შეიქმნება გარე ტრენერების მონაცემთა ბაზა.

8.1.4. საქართველოს კონტროლის პალატაში ცოდნის დაგროვების სისტემის ჩამოყალიბება/ შემუშავება

1. აუდიტის ანალიზის დროს გამოვლენილი შედეგების ფორმალიზებული აღწერა და მათი პრეზენტაციები.

აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის პალატის აუდიტორებისათვის აუდიტის შედეგებისა და აღმოჩენილი პრობლემების გადაჭრის გზებზე ინფორმაციის დაგროვებასა და ცოდნის გაზიარებას;

2. აუდიტის დროს გამოვლენილი პრობლემატიკისა და მისი გადაჭრის გზების შესახებ ანგარიშების მონაცემთა ბაზების (ბანკის) შექმნა.

მოსალოდნელი შედეგები:

1. ცოდნის გაზიარების სისტემის/კულტურის ჩამოყალიბება;
2. პროფესიონალიზმის ამაღლება;
3. აუდიტის შესახებ ანგარიშების მონამეცთა ბაზის (ბანკის) შექმნა და ინსტიტუციური მეხსიერების ბიბლიოგრაფიის შედგენა.

8.2. თანამედროვე აუდიტის მეთოდოლოგიის დანერგვა

მიზანი: საერთაშორისო სტანდარტებისა და აღიარებული პრინციპების საფუძველზე საქართველოს კონტროლის პალატაში შემუშავდეს და დაინერგოს აუდიტის მეთოდოლოგია.

აღნიშნულ მიმართულებაში შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი კომპონენტები:

8.2.1. აუდიტის მეთოდოლოგიის შემუშავება

1. საქართველოს კონტროლის პალატაში აუდიტის ჩატარების არსებული პრაქტიკის, საერთაშორისო გამოცდილებისა და INTOAI-ს რეკომენდაციების შესწავლა.

შესწავლილი იქნება საქართველოს კონტროლის პალატაში კანონით განსაზღვრული აუდიტის ჩატარების სისტემა. გამოვლინდება სამუშაოთა მსვლელობის სუსტი და ძლიერი მხარეები, ტიპური პრობლემები. პარალელურად მოხდება საერთაშორისო გამოცდილების შესწავლაც, რათა განისაზღვროს ამ ტიპის აუდიტის ჩატარების ოპტიმალური მეთოდოლოგია;

2. საქართველოს გამოცდილებასა და საქართველოს კონტროლის პალატაში არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით აუდიტის მეთოდოლოგიის შემუშავება.

მეთოდოლოგიაში განხილული იქნება როგორც თავად აუდიტის ჩატარების სისტემა, ისე აუდიტის ტიპის შერჩევას არსებული მონაცემების ანალიზის სისტემაც. შემუშავდება დოკუმენტაციის ყველა ნიმუში და მათი გამოყენების ინსტრუქცია;

3. საქართველოს კონტროლის პალატის მიერ აუდიტის შიდა შეფასების სისტემის შემუშავება.

საქართველოს კონტროლის პალატის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭიროა შემუშავდეს აუდიტის ეფექტიანობის შეფასების სისტემა. ყოველი აუდიტის აქტს თან უნდა ერთვის სამუშაოთა ეფექტიანობის შეფასებაც, სადაც აღწერილი იქნება ის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, რომლებიც წარმოიშვა აუდიტის ჩატარების პროცესში;

4. შემუშავებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომლებისთვის სასწავლო კურსების ორგანიზება.

აუდიტის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შემუშავდება და საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომლებისთვის მოეწეობა სასწავლო კურსები, სადაც განხილული იქნება მეთოდოლოგია, აუდიტის შიდა შეფასების სისტემა და თანდართული დოკუმენტაციისა და ანგარიშების ნიმუშების შევსების წესები.

მოსალოდნელი შედეგები:

1. შემუშავდება აუდიტის მეთოდოლოგია;
2. გაუმჯობესდება აუდიტის ობიექტებში³ სახელმწიფო სახსრების ხარჯვის შეფასების სისტემა;
3. გაუმჯობესდება საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული აუდიტის ხარისხი;
4. გაიზრდება კონტროლის პალატის თანამშრომელთა პროფესიონალიზმი.

³ ორგანიზაციები, რომელთა აუდიტსაც ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა.

8.2.2. ეფექტიანობისა და წინასწარი აუდიტის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა

1. კონტროლის პალატის თანამშრომლების მიერ აუდიტის ობიექტებზე ეფექტიანობისა და წინასწარი აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შემუშავება.

შესწავლილი იქნება საერთაშორისო გამოცდილება ეფექტიანობის აუდიტის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ მასალაზე დაყრდნობით შემუშავდება საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგია და თანდართული ანგარიშების/დოკუმენტაციის ნიმუშის ფორმები;

აღნიშნულის გარდა, შესწავლილ უნდა იქნეს საერთაშორისო აპრობირებული პრაქტიკა წინასწარ აუდიტთან, როგორც აუდიტის წინარე მოსამზადებელი ღონისძიებებისა და აუდიტის ჩატარებამდე განხორციელებადი ზომების ერთობლიობასთან დაკავშირებით.

2. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აუდიტის ობიექტებისათვის ეფექტიანობისა და წინასწარი აუდიტის ჩარჩო-დოკუმენტის შემუშავება (საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით);

ეფექტიანობისა და წინასწარი აუდიტის სისტემის დასანერგად საჭიროა უშუალოდ აუდიტის ყველა ობიექტში შემუშავდეს საჭირო ინდიკატორები. ამ მიზნით საქართველოს კონტროლის პალატა, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად, შეიმუშავებს ეფექტიანობისა და წინასწარი აუდიტის ჩარჩო-დოკუმენტაციას (საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით), რომელშიც აღწერილი იქნება საბაზისო ინდიკატორების შემუშავების მეთოდოლოგია და დოკუმენტების ნიმუშების სახეები.

3. საქართველოს კონტროლის პალატის მიერ სხვადასხვა ობიექტში ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტის, ასევე წინასწარი აუდიტის ხარისხის შეფასების უნიფიცირებული სისტემის შემუშავება.

უნდა შემუშავდეს საქართველოს კონტროლის პალატასა და სხვადასხვა ობიექტში ეფექტიანობისა და წინასწარი აუდიტის ხარისხის შეფასების უნიფიცირებული სისტემა. ეს სისტემა საშუალებას მოგვცემს უკეთ შევაფასოთ მეთოდოლოგიის აკვარგიაანობა და კონტროლის პალატის მუშაობის ეფექტიანობა;

4. აუდიტის ობიექტებში პასუხისმგებელ პირთა და საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა გადამზადების სასწავლო კურსების პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

აუცილებელია, რომ აუდიტის ყოველ ობიექტში მომზადდეს სულ მცირე ერთი თანამშრომელი მაინც, რომელიც გაეცნობა ეფექტიანობისა და წინასწარი აუდიტის მეთოდოლოგიასა და ჩარჩო-დოკუმენტაციას. ეს თანამშრომელი თავად მოამზადებს თავისი დაწესებულების ეფექტიანობის და წინასწარი აუდიტისათვის ინდიკატორებს და მუდმივი კავშირი ექნება საქართველოს კონტროლის პალატასთან.

ამიტომ, აუდიტის შემუშავებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ეფექტიანობისა და წინასწარი აუდიტის ჩასატარებლად საჭიროა აუდიტის ობიექტებში პასუხისმგებელ პირთა და საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა გადამზადების სასწავლო კურსების პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ეს უნდა გახდეს სასწავლო ცენტრის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია;

5. აუდიტის ობიექტებში ეფექტიანობისა და წინასწარი აუდიტის სამუშაოთა გეგმის შექმნა და სისტემის ეტაპობრივი დანერგვა (კონტროლის პალატასა და აუდიტის ობიექტებში).

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აუდიტის ობიექტებში ეფექტიანობისა და წინასწარი აუდიტის სისტემის დანერგვისათვის საჭიროა შემუშავდეს შესასრულებელ სამუშაოთა გეგმა. აუცილებელია, რომ იმპლემენტაცია მოხდეს ეტაპობრივად, შუალედური შედეგების შეფასებით. პილოტირების მიზნით, ჯერ უნდა დაინერგოს 3-4 სახელმწიფო დაწესებულებაში, შეფასდეს პროცესის ეფექტიანობა და საჭიროების შემთხვევაში, შეტანილ იქნეს ცვლილებები.

მოსალოდნელი შედეგები:

1. საქართველოს კონტროლის პალატაში ჩამოყალიბდება ეფექტიანობის აუდიტის სისტემა;
2. საქართველოს კონტროლის პალატასა და აუდიტის ობიექტებს შორის ჩამოყალიბდება წინასწარი აუდიტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ერთიანი ფორმები და წესები;
3. შემუშავდება და დაინერგება საქართველოს კონტროლის პალატასა და აუდიტის ობიექტების მიერ თვითშეფასების სისტემა, რომლის შემდგომ განხორციელდება ეფექტიანობის და წინასწარი აუდიტი;
4. აუდიტის პროცესი გახდება უფრო გამჭვირვალე.

8.3. საქართველოს კონტროლის პალატის გამჭვირვალობის გაუმჯობესება

მიზანი: საქართველოს კონტროლის პალატისადმი ნდობის გაზრდისა და პროფესიონალური ინსტიტუტის რეპუტაციის მოსაპოვებლად ხელშეწყობა.

აღნიშნულ მიმართულებაში შემუშავდა შემდეგი კომპონენტები:

8.3.1. პერიოდული საგამომცემლო ერთეულის ჩამოყალიბება

საქართველოს კონტროლის პალატაში მიმდინარე პროცესების, ჩატარებული აუდიტის განზოგადებისა და აუდიტის ანალიზის დროს გამოვლენილი შედეგების ფართო საზოგადოებრივი (მათ შორის, აკადემიური) განხილვისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად ჩამოყალიბდება პერიოდული გამოცემა. პერიოდული გამოცემის მეშვეობით ყველა დაინტერესებული სუბიექტისათვის ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია სახელმწიფო (საჯარო) სექტორის აუდიტის სპეციფიკური საკითხების შესახებ, სადაც თემატიკა დამუშავდება როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული სახით. გამოცემაში გათვალისწინებული იქნება როგორც საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების სათანადო თემატურ ანალოგიებთან შედარებითი ანალიზი და სხვა ნებისმიერი მასალა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს კონტროლის პალატის, როგორც აუდიტორული ორგანოს ფუნქციონირების საჯაროობასა და ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღობრივი პრობლემატიკის აღმოფხვრის გზების ძიებას.

8.3.2. შიდა და გარე კომუნიკაციების სტრატეგიის შემუშავება

1. საერთაშორისო გამოცდილებისა და INTOSAI-ს რეკომენდაციების შესწავლა და მის ბაზაზე შიდა და გარე კომუნიკაციების სტრატეგიის შემუშავება.

ამ ეტაპზე შემუშავებული კომუნიკაციის სტრატეგია გამიზნული იქნება როგორც შიდა ფოკუს-ჯგუფებზე (კონტროლის პალატის თანამშრომლებზე), ასევე, გარე ჯგუფებზეც (საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა, სამინისტროები, აუდიტის პოტენციური ობიექტები, მოსახლეობა და სხვ.). კომუნიკაციის სტრატეგია გამიზნული იქნება, რათა ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სტრუქტურული თუ მეთოდოლოგიური ცვლილება აუცილებლად გაშუქდეს და ყოველდღიური ინფორმაციის სახით მიეწოდოს საზოგადოებას.

2. კომუნიკაციის სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საბაზისო მეთოდებისა და მათი განხორციელების პროცედურების შემუშავება.

კომუნიკაციის სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭირო იქნება საბაზისო მეთოდების (ნაბეჭდი მასალის გამოცემა და სხვ.) და მათი განხორციელების პროცედურების შემუშავება. შეფასდება ყოველი მეთოდოლოგიის ეფექტიანობა, შესაბამისობა კომუნიკაციის სტრატეგიასთან, განიხილება ფინანსური ეფექტიანობა და სამიზნე ჯგუფების განსაზღვრის მეთოდოლოგია.

3. შიდა და გარე კომუნიკაციის წლიური გეგმის (გეგმების) შემუშავება და იმპლემენტაცია, ნაბეჭდი მასალების გამოშვება და სხვ.

ყოველ წელს საქართველოს კონტროლის პალატის შემდეგი წლის ბიუჯეტის შემუშავებისას უნდა იყოს გათვალისწინებული მომდევნო წლის კომუნიკაციის გეგმა, რომელშიც მითითებული იქნება მიზნები, სამიზნე ჯგუფები, მოსალოდნელი შედეგები, გამოყენებული საბაზისო მეთოდოლოგია და ბიუჯეტი.

4. საქართველოს კონტროლის პალატის ვებგვერდის ახალი კონცეფციის შემუშავება და მისი მოდერნიზაცია;
5. ვებგვერდის შემადგენელი დოკუმენტების ჩართვა (განახლების სისტემატიზაციის მიზნით) საქართველოს კონტროლის პალატის დოკუმენტბრუნვის ერთიან სისტემაში.

მოსალოდნელი შედეგები:

1. მოხდება კონტროლის პალატაში მიმდინარე რეფორმის შესახებ სამიზნე ჯგუფებისთვის ინფორმაციის ეფექტიანად მიწოდება;
2. გაუმჯობესდება საქართველოს კონტროლის პალატის პროფესიული რეპუტაცია.

8.3.3. გარე აუდიტის პრაქტიკის დანერგვა

1. პროფესიული აუდიტორული კომპანიის (საერთაშორისო) მიერ საქართველოს კონტროლის პალატის გარე აუდიტის ჩასატარებლად საქართველოს კანონში „კონტროლის პალატის შესახებ“ ცვლილებების შემუშავება;

საქართველოს კონტროლის პალატის დამოუკიდებლობის დონისა და მის მიმართ ნდობის გაზრდისთვის აუცილებელია, რომ მისი საქმიანობის შემოწმება მოხდეს გარე აუდიტორული კომპანიების მიერ. ამისათვის საჭიროა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს კანონში „კონტროლის პალატის შესახებ“;

2. საქართველოს კონტროლის პალატის გარე აუდიტორებისადმი სტანდარტული მოთხოვნების/ტექნიკური დავალების (TOR) შემუშავება.

საჭიროა შემუშავდეს საქართველოს კონტროლის პალატის გარე აუდიტორებისადმი მოთხოვნები. აღნიშნულ მოთხოვნებში აისახება ის სტანდარტები, რომელთაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს კონტროლის პალატის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას და საქართველოს პოლიტიკურ წრეებსა და მოსახლეობაში ნდობის გაზრდას.

მოსალოდნელი შედეგები:

1. გაიზრდება საქართველოს კონტროლის პალატისადმი ნდობა;
2. გაუმჯობესდება საქართველოს კონტროლის პალატის მუშაობის ეფექტიანობა.

8.4. ინფრასტრუქტურის განვითარება

მიზანი: გეგმის მიზანია გააუმჯობესოს საქართველოს კონტროლის პალატის მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურა და შესაბამისად, სამუშაო გარემო.

აღნიშნულ მიმართულებაში შემუშავდა შემდეგი კომპონენტები:

8.4.1. საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და ეფექტიანი გამოყენება

1. საქართველოს კონტროლის პალატის საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის ჩატარება.

აუდიტის მიზანია შეაგროვოს ინფორმაცია ორგანიზაციაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის მდგომარეობის შესახებ. დაადგინოს რამდენად აკმაყოფილებს ტექნიკა ორგანიზაციის მოთხოვნებს, შეისწავლოს ინფორმაციის დაცვის არსებული მექანიზმები და სხვ.;

2. საერთაშორისო გამოცდილებისა და INTOSAI-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ასევე მოიცავს ინფორმაციის, ქსელების, სისტემების უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებასაც;

3. კომპიუტერული აუდიტის პროგრამული უზრუნველყოფა.

საერთაშორისო აპრობირებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს საინფორმაციო სისტემური პროგრამები, რომლებიც აუცილებელია კომპიუტერული აუდიტის განსახორციელებლად. აღნიშნული გულისხმობს აუდიტის განხორციელებისას საბაზისო

მონაცემთა ელექტრონულ ფორმატში იმგვარად დამუშავებას, რომლის მეშვეობითაც პროგრამა ეხმარება აუდიტორს იმ პრობლემატურ საკითხთა იდენტიფიცირებაში, რომელთა აუდიტორული შემოწმებაც აუცილებელია. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ზუსტად განისაზღვროს აღნიშნულ პროგრამაში გამოსაყენებელი ინდიკატორები აუდიტის იმ ობიექტებთან ერთად, რომელთა აუდიტის დროს იქნება გამოყენებული იგი (ცალკეული მხარჯავი დაწესებულების მიერ ფინანსური ოპერაციების წარმოებისა და ანგარიშებისა და ანგარიშგების სპეციფიკის გათვალისწინებით).

4. საქართველოს კონტროლის პალატაში დოკუმენტბრუნვისა და ადამიანური რესურსების მართვის კომპიუტერიზებული სისტემის დანერგვა და უკვე არსებულის გაუმჯობესება (კადრების მართვის პროგრამა PEMS), მისი გამოყენების მეთოდოლოგიური მასალების შემუშავება და სწავლება;
5. საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მისი გამოყენების მეთოდოლოგიური მასალების შემუშავება და სწავლება.

მოსალოდნელი შედეგები:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შეფასების სრულყოფილი დოკუმენტი;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების/სისტემის განვითარების სტრატეგიული გეგმა;
3. კომპიუტერული აუდიტის პროგრამული უზრუნველყოფა.
4. ინფორმაციული ტექნოლოგიების/სისტემის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
5. ინფორმაციული ტექნოლოგიების საიმედოობის ამაღლება;
6. ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის გამარტივება;
7. კადრების მართვის PEMS პროგრამის დახვეწა;
8. კადრების მართვისა და დოკუმენტბრუნვის პროგრამების მომხმარებელთა სახელმძღვანელოს შექმნა;
9. კადრების მართვისა (გაუმჯობესებული მოდულის) და დოკუმენტბრუნვის პროგრამების მომხმარებელთა მომზადება (ტრენინგი);
10. სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ურთიერთკავშირისა და დოკუმენტბრუნვის სისტემის გაუმჯობესება;
11. გაუმჯობესებული სამუშაო გარემო.